MES 6 23 0000599319

25/05/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. თბილისი

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლა
ედიშერ ალელიშვილი -სკოლის დირექტორი

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა
მერაბ ჭოხონელიძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვი ს წამებულთა სახელობის სკოლა
მიხეილ ტეფნაძე
ლიანა კობესაშვილი

შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლა
ლელა ფიცხელაური
ელენე კალანდაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 10 მაისის ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი

განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20-ე მუხლის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგანსაბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.
2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტეს თვის წამებულთა სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მიხეილ ტეფნაძემ და ლიანა კობესაშვილმა.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 20 და 21 მარტს, დაბა ხულოში, დავით აღმაშენებლის ქ.N9-ში, რის შედეგადაც, შეფასდა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური რესურსისა და ადამიანური რესურსის სტანდარტები.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას, შემუშავებული იყო მოსწავლეთა ქცევის, მშობლის ინფორმირებისა და მათი სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის ხელშემწყობი წესი და შემუშავებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმები.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ ისაუბრა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა შიდა აზომვითი ნახაზისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასკვნაში აისახა გარკვეული აღწერილობითი ნაწილი. მიწის ნაკვეთის სრული ფართი შეადგენდა 10080.00 კვ.მ-ს, რომელზეც განლაგებული იყო ორი შენობა-ნაგებობა, რომელთა სრული ფართი 3270.45 კვ.მ-ს შეადგენდა, განთავსებული იყო 13 საკლასო ოთახი, 127 ორადგილიანი, 16

ერთადგილიანი და 206 ინდივიდუალური სკამი. დაწესებულებაში მოწყობილი იყო სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ საბჭოს წარუდგინა შენობის ინტერიერისა და ექსტერიერის ფოტომასალა, სადაც იკვეთებოდა, რომ დერეფნის ერთ-ერთი ნაწილის ჭერი იყო დაზიანებული, დაწესებულების წარმომადგენელთან საუბრის შედეგად აღინიშნა, რომ აღნიშნული სივრცე იყო იზოლირებული.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ საბჭოს წარმომადგენლებს გააცნო ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა მიერ დაწესებულების მიმართ გაიცა. პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სკოლის ვებ გვერდს, რომელზეც სრულად არ იყო განთავსებული ინფორმაცია დაწესებულების შესახებ. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა სამედიცინო პერსონალს, კერძოდ, მოსწავლეებს სამედიცინო დახმარებას უწევდა ექთანი, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ სკოლას ჰყოლოდა ექიმი.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განიხილა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის საჭიროებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჰყავდა 23 მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულებები და შემუშავებული იყო პროფესიული განვითარების მექანიზმები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრი, ზვიად გოგუაძე დაინტერესდა ატარებდა თუ არა დაწესებულება სხვა სახელწოდებას აქამდე.

სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული და განმარტა, რომ დაწესებულება გასულ სასწავლო წელს ატარებდა შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლის სახელწოდებას, ამის შემდგომ სკოლამ შეიცვალა სამართლებრივი ფორმა და დაფუძნდა როგორც არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირი.
საბჭოს წევრი ზვიად გოგუაძე, ასევე დაინტერესდა დაწესებულების მიერ ფართის საჯარო რეესტრში ასახვის შესახებ და მან მოითხოვა სკოლიდან ნებართვა, რომ საჯარო რეესტრში გადაემოწმებინა ფართის რეგისტრაციის შესახებ. სკოლის დირექტორმა გასცა ნებართვა და საბჭოს წევრმა დაადასტურა, რომ საჯარო რეესტრში სკოლას დარეგისტრირებული ჰქონდა ფართი.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა აღნიშნა, რომ საათობრივ ბადეში სამოქალაქო განათლება არ იყო სავალდებულო პროექტად და კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რა იყო აღნიშნულის მიზეზი.
ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სამოქალაქო განათლების პროექტი ტექნიკური ხარვეზის გამო იქნა გამორჩენილი და ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იქნა გათვალისწინებული და დამატებული აღნიშნული.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლას მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის თვითშეფასების კითხვარში მითითებული ჰქონდა 250, ხოლო ექსპერტების დასკვნის საფუძველზე, სკოლას 143 მოსწავლის მიღება შეეძლო.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობა დათვლილი იყო სკოლაში არსებული რესურსის მიხედვით, თუმცა დაწესებულების ადმინისტრაციის კომენტარი იყო, რომ შეისყიდიდნენ და დაამატებდნენ მერხებს. აღნიშნულის შემთხვევაში, სკოლის ფართის მხრივ, 250 მოსწავლისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა შეეძლო.
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, დაზიანებული ჭერის ფართის იზოლირების პირობებში, სკოლას თუ შეეძლო მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის მიღება.

ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ განმარტა, რომ აღნიშნული ფართის იზოლირების შემთხვევაში სკოლას მაინც შეეძლო მოსწავლეთა აღნიშნული რაოდენობისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის გაწევა, მერხების შესაბამისი რაოდენობის ქონის შემთხვევაში.
სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაზიანებული ჭერთან დაკავშირებით შედგენილი იყო ხარჯთაღრიცხვა და სასკოლო არდადეგების დაწყებისთანავე დაიწყებოდა რემონტი. ინვენტართან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სკოლა შეთანხმებული იყო ორგანიზაციასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მერხებით იმ შემთხვევაში, თუ სკოლას მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობა დაუდასტურდებოდა, შეიძენდნენ აღნიშნულ ინვენტარს. ამ ეტაპისთვის კი სკოლა თანხმდებოდა ექსპერტთა დასკვნაში მითითებულ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას - 143.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 143-ით განსაზღვრის საკითხი.
სკოლამ შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ვინაიდან შპს ხულოს წმინდა აბუსერიძე ტბელის სახელობის სკოლას ავტორიაციის ვადა ამოეწურა 2023 წლის 24 აპრილს, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილება მიმდინარე წლის 24 აპრილს შესულიყო ძალაში.
საბჭომ ერთხმად გაიზიარა წარმოდგენილი შუამდგომლობა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-7 პუნქტებისა და, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს ხულოს წმიდათა მამათა და დედათა აჭარაში ქრისტესთვის წამებულთა სახელობის სკოლას (ს/კ: 448058271) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 143-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 24 აპრილს.

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლამ, დოკუმენტის მომზადებისთანავე, ცენტრში უნდა წარადგინოს ფართის ფლობის დამადასტურებელი განახლებული დოკუმენტი ახალი იურიდიული პირის სახელზე მინიმუმ 6 წლიანი, ავტორიზაციის ვადით.

2. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ლელა ფიცხელაურმა და ელენე კალანდაძემ.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 5 და 6 აპრილს, ქალაქ ქუთაისში.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სწავლების ენა იყო ქართული, მოსწავლეთა ფაქტობრივი რაოდენობა შეადგენდა 895 მოსწავლეს. სკოლის პერსონალის რაოდენობა იყო 132, მათგან 117 მასწავლებელი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა აღნიშნა, რომ სკოლა ფუნქციონირებდა 2017 წლიდან და ახორციელებდა დაწყებით, საბაზო და საშუალო განათლების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. ექსპერტმა ყურადღება გაამახვილა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე, რომელიც მდგომარეობდა შემდეგში - სოციალურად დაუცველი მოსწავლეების, დახმარების მიზნით, სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა მერიასთან და ახორციელებდა საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლას ჰქონდა მემორანდუმი გაფორმებული ‘’SOS ბავშვთა სოფელთან’’, ყოველწლიურად მათი ბენეფიციარები სასწავლო წელს ამთავრებდნენ აღნიშნულ დაწესებულებას და წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას სასურველი მიმართულებით.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მატერიალურ რესურსზე, რომ დაწესებულება მდებარეობდა 1842.00 კვ.მ შემოღობილ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც აშენებული იყო N1 სამსართულიანი და N2 ექვსსართულიანი შენობა. N1 შენობაში იყო 54 ოთახი, რომელთა შორისაც იყო საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, ბუფეტი, დირექტორისა და ექიმის ოთახი, ხოლო N2 შენობაში განლაგებული იყო 336 კვ.მ სპორტული დარბაზი და ჭადრაკის ოთახი.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა ხარვეზებზე, რომლებიც ექსპერტებმა დააფიქსირეს, კერძოდ, სკოლის შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული იყო კამერები და მოსასმენი აპარატები, რითაც დარღვეული იყო ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის’’ მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი დაცვის წესის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ვინაიდან დაუშვებელია ვიდეოთვალთვალის/მოსმენის განხორციელება საკლასო ოთახში, შესაბამისად, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ დაესრულებინა სრულად კამერების დემონტაჟი კანონმდებლობით აკრძალულ სივრცეებში და თვითნებურად აღარ განეხორციელებინა მსგავსი ქმედება. ექსპერტის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდშივე სკოლამ დაიწყო აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამედიცინო კაბინეტის ფართობი შეადგენდა 5 კვ.მ-ს, რაც შეუძლებელს ხდიდა გადაუდებელი შემთხვევის დროს სამედიცინო კაბინეტში პაციენტის მარტივად შეყვანა-გამოყვანას. სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე უნდა ჰყოლოდა ორი ექიმი, ან ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში ჩანაცვლებულიყო ექთნით. ასევე, ექსპერტის

განცხადებით, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული და დამტკიცებული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გარდა ამისა, სკოლაში სწავლობდნენ საბავშვო ბაღის მოსწავლეები, რომლებიც იმყოფებოდნენ სასკოლო სივრცისგან გაუმიჯნავ ნაწილში. ექსპერტმა აღნიშნა კიდევ ერთი ხარვეზი, რაც დაფიქსირდა, აღნიშნული დაკავშირებული იყო საქმისწარმოებასთან, კერძოდ, დაწესებულებას დოკუმენტაციის წარმოების დროს დარღვეული ჰქონდა საქმისწარმოების წესი, ჟურნალებში ათვლა არ წარმოებდა კალენდარული წლის მიხედვით, არამედ გრძელდებოდა წლების განმავლობაში, თარიღის გრაფაში არ იყო მითითებული შესაბამისი წესი, ამავდროულად პირად საქმეში არ იყო სრულად შეტანილი სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და მათში მიღებული შეფასებები, აგრეთვე, დარღვეული იყო მოსწავლის სკოლაში მიღებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესი'', კერძოდ, სკოლამ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების გარეშე პირდაპირ ჰყავდა ჩარიცხული მოსწავლე მესამე კლასში. ექსპერტის განცხადებით, ხარვეზი გამოვლინდა ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, სკოლაში დასაქმებული 20 უსტატუსო მასწავლებელი შერჩეული არ იყო ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' მინისტრის N174/ნ ბრძანების შესაბამისად. გარდა ამისა, სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე არ იყო დამტკიცებული ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი. ექსპერტმა განაცხადა, რომ ხარვეზი, ასევე, გამოვლენილი იყო შრომით ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, კერძოდ, არ იყო გათვალისწინებული საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები: 1. მასწავლებლის ხელშეკრულებები არ იყო დადებული შესაბამისი კატეგორიების მიხედვით. 2. არცერთ ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული შრომის ანაზღაურება, მაშინ როდესაც, საქართველოს ორგანული კანონის შრომის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა შრომის ანაზღაურების მითითებას.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა რეკომენდაციებზე, რომლებიც ექსპერტების მხრიდან გაიცა, კერძოდ, სკოლას გაეთვალისწინებინა ეროვნული სასწავლო გეგმის თავი V. მუხლი 21. 6 და ყოველი მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმისათვის მუშაობა დაეწყო სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. სკოლაში საჭიროებისას ჩატარებულიყო მიზნობრივი კვლევები, რომლის ანალიზსაც დაეყრდნობოდა სამოქმედო გეგმებისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება, გარდა ამისა, შემაჯამებელ დავალებებში გამოეყენებინა საგნობრივი ჯგუფის შესაბამისი მრავალფეროვანი დავალების ტიპები, ასევე, ლაბორატორიაში ცდების ჩატარებისთვის განკუთვნილი მაგიდის ზედაპირი შერჩეული ყოფილიყო ისე, რომ ყოფილიყო წყალგაუმტარი და ცეცხლგამძე. ამავდროულად გამიჯნულიყო ბიბლიოთეკა და კომპიუტერული ლაბორატორია ერთმანეთისგან და ბიბლიოთეკაში დაცულ წიგნებზე გაზრდილიყო ხელმისაწვდომობა, დაგეგმილიყო და განახლებულიყო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსების მიზნით სხვადასხვა აქტივობები, გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში წიგნების აღრიცხვის, შენახვა-გატანისა და ტექნიკური ფუნქციების შეთავსების გარდა, ბიბლიოთეკარი ჩართულიყო სასწავლო პროექტებსა და აქტივობებში, ასევე, სკოლას უნდა შეეძინა და ბიბლიოთეკაში განეთავსებინა მე-9, მე-10 კლასების გრიფირებული სახელმძღვანელოების მინიმუმ 1 ეგზემპლიარი ყველა კლასისა და საგნისათვის. ბიბლიოთეკისა და კომპიუტერული ლაბორატორიის შესასვლელი კარი იყო ვიწრო, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ შესასვლელი ადაპტირებული ყოფილიყო ეტლით მოსარგებლე პირთათვის. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ვებ-გვერდს, კერძოდ, მასზე ინფორმაციის განთავსებისას დაცული ყოფილიყო პერსონალური მონაცემები და განსაზღვრულიყო ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე

პასუხისმგებელი პირი, გარდა ამისა, სკოლას უნდა უზრუნველეყო საკლასო ოთახებში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ხელმისაწვდომობა. ექსპერტის განცხადებით, მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს შორის იყო უსაფრთხოების საკითები, საგანგებო მზადყოფნისა და რეაგირების გეგმა სკოლას უნდა შეეთანხმებინა საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, ასევე, სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ცვლილებების შეტანა უნდა განხორციელებულიყო წინა წლის შედეგებზე დაყრდნობით და აუცილებელი იყო სტრატეგიული მიზნების ფორმულირება სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, გრძელვადიანი მიზნები ჩაშლილიყო ამოცანებად და განსაზღვრულიყო პასუხისმგებელი პირები. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ადამიანურ რესურსს, კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობის შესაბამისად შეერჩია და დაესაქმებინა ფსიქოლოგი და მეორე ექიმი, ასევე, სკოლას უნდა ეზრუნა, როგორც პედაგოგიური კადრის, ისე სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაზე.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა ისაუბრა სკოლის მიერ გათვალისწინებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდში N2 შენობის საპირფარეშოში არ იყო მექანიკური ჩასარეცხი სისტემა, სკოლამ გაითვალისწინა შენიშვნა და ვიზიტის პერიოდშივე შეიძინა აღნიშნული მოწყობილობები და დაიწყო მონტაჟის პროცესი. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს მიეცა რჩევა, გაცნობოდა სკოლის მიერ შემუშავებულ ზოგადასგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლამ გამოაგზავნა ხარვეზების გამოსწორების გეგმა, რომლის მიხედვითაც, სკოლას შემუშავებული ჰქონდა წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და მიმოწერას აწარმოებდა სამინისტროსთან, სკოლა ყოველ ახალ სასწავლო წელს საქმის წარმოებას დაიწყებდა ახალი ჟურნალით და აღნიშნულ პედაგოგებთან თანამშრომლობას შეწყვეტდა სასწავლო წლის ბოლოს, რეკომენდაციის საფუძველზე სკოლას შემუშავებული ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის და პროფესიული განვითარების დოკუმენტი, გარდა ამისა, სკოლამ კონსულტაცია გაიარა იურისტთან და შეცვალა ხელშეკრულებები. ამავდროულად მოიხსნა სამედიცინო კაბინეტის ერთი კედელი, რის ხარჯზეც სამედიცინო კაბინეტის ფართობი გახდა სტანდარტის შესაბამისი. დაწესებულებამ წარმოადგინა ფოტომასალა, სადაც ჩანდა, რომ მოახდინა კამერების დემონტაჟი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, მორის დანდურაშვილი დაინტერესდა წარმოადგინა თუ არა სკოლამ ხარვეზების აღმოფხვრის მტკიცებულებები.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა დაადასტურა, რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა მტკიცებულებები.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს თუ რა ეტაპზე იყო ხარვეზების გამოსწორების გეგმა და დაცული იყო თუ არა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები საპირფარეშოებში.

სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ საპირფარეშოები სრულად აღჭურვილი იყო და დაცული გახლდათ ყველანაირი ნორმა.

საბჭოს წევრი, მანანა ჯინჭარაძე დაინტერესდა იხდიდნენ თუ არა სოციალურად დაუცველი მოსწავლეები სწავლის საფასურს, თუ ქველმოქმედებას ეწეოდა სკოლა.

სკოლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაქტობრივად ქველმოქმედება იყო, რადგან სოციალურად დაუცველი მოსწავლეები იხდიდნენ მიზერულ თანხას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ გააკეთა კომენტარი ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, ვინაიდან გამოვლენილი იყო მრავალი ხარვეზი, ხომ არ სჯობდა სკოლის ავტორიზაციის საკითხი გარკვეული პირობით დაეყენებინათ.

საბჭოს წევრი, პეტრე ბაბილუა დაინტერესდა, თუ რატომ გაიმეორა სკოლამ იგივე ხარვეზი, რაზეც წარსულში უკვე ჰქონდათ დაფიქსირებული, კერძოდ ვიდეო და აუდიო მეთვალყურეობის საკითხი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ იმსჯელა, რომ ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებაში განხორციელებულიყო მონიტორინგი მოქმედი ოთხივე სტანდარტის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 900 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 2

საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა განმარტა, რომ მან სკოლის მხრიდან ვერ დაინახა მზაობა, რომ დამოუკიდებლად შეძლებდა მომავალში იმ რისკების მართვას, რაც მრავლად იყო სწრაფად ცვალებად გარემოში და მოემსახურებოდა მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას. გარდა ამისა, დებულების თანახმად, თუ ერთი სტანდარტი იყო დარღვეული, ეს ხდებოდა ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი, შესაბამისად, აღნიშნა, რომ სრულიად იზიარებდა ექსპერტების დასკვნას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ ეყრდნობოდა დებულებას და ენდობოდა ექსპერტების დასკვნას, ვინაიდან სკოლას არ ჰქონდა გათვალისწინებული წინა ავტორიზაციის პირობებში გაცემული რეკომენდაცია, შესაბამისად არ იზიარებდა იმ აზრს, რომ სკოლა გამოასწორებდა ხარვეზებს, რაც ღრმა შინაარსობრივი ხასიათის იყო.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტისა და, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლას (ს/კ: 412725573) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 900-ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვროს ქართული ენა.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2024 წლის სექტემბრის თვის შემდეგ, მოქმედი ოთხი სტანდარტის მიხედვით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 16:10 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით